



საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო


საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა

- სატარიფო პოლიტიკა იმპორტზე - პროდუქციის 80% გათავისუფლებულია საიმპორტო საბაჟო გადასახადისაგან. მოქმედებს საიმპორტო ტარიფების 3 განაკვეთი - 0%, 5% და 12%. სპეციფიკური იმპორტის გადასახადი დაწესებულია მხოლოდ ალკოჰოლსა და მსუბუქ ავტომობილებზე
- სატარიფო პოლიტიკა ექსპორტზე - ექსპორტი ან რე-ექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან
- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით სარგებლობა - მსოფლიო მოსახლეობის 1/3-ის სამომხმარებლო ბაზრით
- პრეფერენციული რეჟიმი (GSP) - აშშ, კანადა, იაპონია
- ირიბი გადასახადები - დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია
- ლიცენზიები და ნებართვები - საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის


საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2020

- საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა - 11 347.7 მლნ აშშ დოლარი, კლება 14.8%
- იმპორტი - 8 005.6 მლნ აშშ დოლარი, კლება 15.9%
- ექსპორტი - 3 342.1 მლნ. აშშ დოლარი, კლება 12%


საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა




საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი 2020 წლის ბრუნვის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)




საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2020 წლის ექსპორტის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)




საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2020 წლის იმპორტის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში 2020 წელს



ძირითადი სასაქონლო პოზიციები საქართველოს იმპორტში




- 2020 წელს ადგილობრივი ექსპორტი (რე-ექსპორტის გარეშე) - 2 407 მლნ. აშშ დოლარი ზრდა 4% და მთლიანი ექსპორტის 72% (2019 წელი - 61%)


- რე-ექსპორტი - 935 მლნ. აშშ დოლარი კლება 36.5% და მთლიანი ექსპორტის 28%

- ადგილობრივი ექსპორტის 90% თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნებში გავიდა.


საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი და რე-ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)



ადგილობრივი ექსპორტი 2014 წელი



ადგილობრივი ექსპორტი 2020



საქართველოს პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები



ვაჭრობა GSP-ს ფარგლებში აშშ, კანადა, იაპონია

მიმდინარე


- FTA საქართველოსა და ინდოეთს შორის
- FTA საქართველოსა და ისრაელს შორის
- FTA საქართველოსა და კორეას შორის
- საქართველო-თურქეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შემდგომი ლიბერალიზაცია

**DCFTA-ის ამოქმედების
შემდგომ ახალი საექსპორტო
პოზიციები ევროკავშირის
ბაზარზე**


- ახალი ხილი - ვაშლი, კომში, კივი, ხურმა, მოცვი
- ჩირი - ხურმა, მოცვი, ტყემალი, კარალიოკი, ვაშლი, კენკრა
- ხმელი ლიმონი
- ჯემები - ატამი, ვაშლი, მანდარინი, ფეიხოა, კივი, მოცვი
- მინის ნაწარმი
- პლასტმასის ნაწარმი
- იზოტოპები
- თაფლი
- თევზის პროდუქტები
- ცხოველების ავეჯი

➢ პლასტმასის ნაწარმი

**DCFTA-ის ამოქმედების
შემდგომ ადგილობრივი
ექსპორტისა და
ექსპორტიორი კომპანიების
ზრდა
კომპანიები**



**ადგილობრივი პროდუქციის
ექსპორტი ევროკავშირში**



**EU ექსპორტში ქართული
პროდუქცია**

- 2014 - 65%
- 2020 - 89%

**ევროკავშირის ბაზარზე ახალი
ცხოველური პროდუქტების
დაშვება:**

- მატყლი
- თაფლი
- თევზი და თევზის პროდუქტები
- დამუშავებული ტყავი

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დსთ-ს ქვეყნებთან

- საქართველო არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ მრავალმხრივი შეთანხმების ხელშემკვრელი მხარე 1994 წლის 15 აპრილიდან შეთანხმება რატიფიცირებულია დსთ-ს ყველა ქვეყნის მიერ, რუსეთის გარდა.
- საქართველოს აქვს 8 ორმხრივი შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან, სომხეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან, მოლდოვასთან, უზბეკეთთან და რუსეთთან
- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოღებები მოქმედებს მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან. კერძოდ, საქართველოს მხრიდან იმპორტის ტარიფი შენარჩუნებულია ორი სახეობის სპირტზე, თამბაქოსა და ლუდზე, ხოლო რუსეთის მხრიდან ასევე ორი სახეობის სპირტზე, თამბაქოზე და შაქარზე.

საქართველო - თურქეთი

- 2008 წლის ნოემბრიდან თურქეთთან მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი შეთანხმების ამოქმედებისთანავე **სამრეწველო პროდუქციაზე იმპორტის ტარიფები გაიწმინდა**

შეთანხმება ითვალისწინებს მხარეთა მიერ გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოღებას, კერძოდ:

- **საქართველოს მხრიდან:** ცოცხალი შინაური ფრინველი, ცხვრის ხორცი, კვერცხი, რძის პროდუქტების რამდენიმე სახეობა, ნატურალური თაფლი, ხილის და ბოსტნეულის გარკვეულ სახეობები (პომიდორი, კაკალი, ციტრუსის ნაყოფი, ყურძენი, ვაშლი), ჩაი და სხვა.
- **თურქეთის მხრიდან:** ცოცხალი ცხოველები, ხორცის პროდუქტები, რძის ნაწარმის რიგი სახეობები, თაფლი, შაქარი, ჩაი, ბოსტნეულის და ხილის რამდენიმე სახეობა (კივი, ყურძენი, გარგარი, ლიმონი და სხვა), თამბაქოს ნაწარმი და სხვა
- თურქეთის მხარეს ასევე დაწესებული აქვს **ქვოტები** რიგ პროდუქციაზე. მათ შორის: ნაღების კარაქი, პომიდორი, ნესვი, საზამთრო, ვაშლი, მსხალი, შოკოლადი, არაქისი, ხილ-კენკროვანი ჟელები, ხილის წვენები, ღვინოები და სხვა

საქართველო - EFTA

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი 2018 წლის პირველი იანვრიდან მოქმედებს ნორვეგიასა და ისლანდიასთან, ხოლო 2018 წლის პირველი მაისიდან შვეიცარიასა და ლიხტენშტეინთან.

შეთანხმების ამოქმედებისთანავე სამრეწველო პროდუქციაზე საიმპორტო ტარიფები განულდა

საქართველოდან ექსპორტი ნულოვანი ტარიფით

ისლანდიაში: მინერალური წყალი, უალკოჰოლო სასმელები, ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, ხილის წვენები, საწებლები, იოგურტი, კომბოსტო, მწვანილი, პომიდორი, კიტრი, თაფლი, შოკოლადის ნაწარმი, მაკარონი და სხვა.

ნორვეგიაში: ღვინო, მინერალური წყალი, სპირტიანი სასმელები, ცოცხალი ცხოველები, მწვანილი, ხილი, თხილი, მარცვლეული და ბურღული, თამბაქოს ნაწარმი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, მზა საკვები პროდუქტები, ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, თაფლი (ქვოტა 192 ტონა) და სხვა, ასევე საქონლის ცხვრის, ღორის და ფრინველის ხორცი ქვოტის ფარგლებში და სხვა.

შვეიცარიაში და ლიხტენშტეინში: ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, მინერალური წყალი, უალკოჰოლო სასმელები, თაფლი, ხილი და ბოსტნეული (სეზონურად), ხილ-ბოსტნეულის კონსერვებისა და წვენების სახეობები, ხორცისა და თევზის კონსერვები და ა.შ. ასევე საქონლის ცხვრის, ღორის და ფრინველის ხორცი და სხვა.

პროდუქციის ჩამონათვალი, რომელზეც EFTA-მ შეინარჩუნა ტარიფები

ისლანდია - ხორცი საქონლის, რძის ფხვნილი, იოგურტი (ნაწილობრივ), კარაქი, ყველი, კვერცხი, კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო, სოკო, მარცვლეული, ძეხვეული, ხორცის კონსერვი, ჩიფსები, ნაყინი და სხვა.

ნორვეგია ცოცხალი ცხოველები, რძის ფხვნილი, ყველი, კვერცხი, კარტოფილი, კურკოვანი ხილი (სეზონურად), მარცვლეული და სხვა.

შვეიცარია-რძე, კარაქი, ვაშლი (სეზონურად), ცხიმები არა ტექნიკური დანიშნულებით, საკონსერვო პროდუქცია ნაწილობრივ და სხვა.

საქართველო - ჩინეთი

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი 2018 წლის პირველი იანვრიდან მოქმედებს

ჩინეთის მხრიდან დათმობები

მყისიერად ნულოვანი - კატეგორია “A” - ღვინო, ბრენდები, მინერალური წყალი, უალკოჰოლო სასმელები, ლუდი, ცოცხალი ცხოველები, ღორის ხორცი უძვლო და კარკასით, ფრინველის ხორცი კარკასით, ინდაური, თევზი და სხვა ზღვის პროდუქტები, მარცვლეული, მცენარეები და კალმები, ბოსტნეული სრულად, თაფლი, თხილი, ხილი სრულად, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები და წვენები, კოსმეტიკური ნაწარმი, სამკურნალო საშუალებები, ხე-ტყე, ტექსტილი, კაბელები, შავი ლითონი და მეტალო-კონსტრუქციები, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, ფერო-სილიკომანგანუმი, რკინის წნელები, ლოკომოტივები და სხვა

4 წლიანი გარდამავალი პერიოდით ნულოვანი -კატეგორია “B” - ღორის ხორცის დარჩენილი პოზიციები, ახალი ან შეყინული საქონლის ხორცი, ცხვრის ხორცი, ფრინველის ხორცი, ჭვავი, ქერი, წიწიბურა, კარაქი, იოგურტი, ყველი და რძის სხვა პროდუქტები, მაკარონის ნაწარმი, სპირტიანი სასმელები რომლის წარმოებაც ამ ეტაპზე არ აქვს საქართველოს, კოპტონი, ზოგიერთი სახის ფოსფოროვანი სასუქი, ეთერზეთები, ბამბის ნედლეული, გაზის და აირის კომპრესორები, ზოგიერთი საბურღი და საჭრელი მოწყობილობები და სხვა

დათმობის გარეშე -კატეგორია “C” - საქონლის ხორცი, ყავა, მარცვლოვანი კულტურები, მცენარეული, პალმის, და ბამბის ზეთი, მარგარინი, შაქარი და შაქრის ნაწარმი, თამბაქოს ნედლეული და თამბაქოს ნაწარმი, შარდოვანა და ზოგიერთი მინერალური სასუქი, რეზინის ნაწარმი, ხის კასრები და სხვა ნაწარმი, სხვა ხის ნაწარმი იატაკის მოსაპირკეთებლად, კორპი, ქაღალდის და მუყაოს ნაწარმი, ტექსტილის ნაწარმის 3 ხაზი, პოლიმერები პირველადი ფორმით, შალი, მსუბუქი ავტომობილები, საბურღი მანქანები და სხვა მოწყობილობები ელექტრულის ჩათვლით, ტელევიზორის ნაწილები და სხვა

საქართველო - ჰონგ კონგი, ჩინეთის ადმინისტრაციული ერთეული

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი 2019 წლის 13 თებერვლიდან მოქმედებს

- ჰონ კონგის მხრიდან სრული ლიბერალიზაცია
- საქართველოს მხრიდან ამოღებები რძის ნაწარმი, კვერცხი, ხილი, ბოსტნეული, ჯემები, ხილის წვენები, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები, ალკოჰოლური სასმელები, პლასტმასის ნაწარმი, კაბელები და ა.შ.